ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5252955

ნომერი: AR1796760

თარიღი : 27.12.2020

გაცემის თარიღი : 18.01.2021

გაცნობის თარიღი : 18.01.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაქალაქევი , N 3;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ბერაძე პ/ნ 01008008365
- ჭავჭავაძის 44

ორგანიზაცია:
- შპს „KROL MEDICAL CORPORATION“ კოდი: 404941532

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 27 დეკემბრის №AR1796760 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ნაქალაქევის ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.12.14.081.013) არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით (რეკონსტრუქცია: მიშენება, მიშენება-დაშენება, დაშენება ფუნქციის ცვლილებით. მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა - სამედიცინო და ჯანმრთელობის ობიექტი, საცხოვრებელი ობიექტი, სასტუმრო) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საპროექტო მიწის ნაკვეთზე, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)
სპეციალური ზონა 1 (სპეცზ–1) — სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს;

სპეცზ-1 – დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო- საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.
განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1 – კოეფიციენტი
კ-2 – კოეფიციენტი
კ-3 0,2 კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი – კვ.მ
მინიმალური სიგანე – მეტრი
მინიმალური სიღრმე – მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე – მეტრი
შენიშვნა -

მოცემულ ფუნქციურ ზონაში (სპეციალური ზონა 1 (სპეცზ–1)) საცხოვრებელის და სასტუმროს ფუნქციის განთავსება მოქმედი კანონმდებლობით დასაშვები არ არის.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2020 წლის 27 დეკემბრის №AR1796760 განცხადება.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.